საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენ 2020 წლის 3 ივლისის N6184/01 წერილზე, ხობის მუნიციპალიტეტის, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოს (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილ ჩამდინარე წყლებთან ერთად, ზედაპირულ წყლებში ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

წერილში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებული იქნა საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი და შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. დოკუმენტაციაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ზდჩ-ის ნორმები გაანგარიშებულია ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილისათვის და ასევე საწარმოო-სანიაღვრე და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან მიღებული გაწმენდილი წყლებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგი განხორციელდება საერთო გამყვანი კოლექტორიდან ჩაშვების წერტილში, ხოლო გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ეფექტურობის მონიტორინგი შესაძლებელი იქნება ჩამდინარე წყლების საერთო გამყვან კოლექტორში ჩაშვებამდე.

წარმოგიდგენთ ხობის მუნიციპალიტეტის, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოს (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ჩამდინარე წყლებთან ერთად, ზედაპირულ წყლებში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის კორექტირებულ ვერსიებს და გთხოვთ თქვენ გადაწყვეტილებას, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების თაობაზე.

წერილს თან ერთვის:

- ხობის მუნიციპალიტეტის, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოს (პოლიმერული ნარჩენების აღდგენა) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლიარის ნაბეჭდი ვერსია;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმები - 1 ეგზემპლიარის ნაბეჭდი ვერსია;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია CD დისკზე.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტი
№ 10583
10 07 2020
1/CD
02

შპს „გლობალ რესაიქლინგ კო“ დირექტორი /იუსი ჰონგ /

595 59 52 35

07.07.2020 წელი

N57/02